

სამომხმარებლო ხელშეკრულება

საიტზე რეგისტრაციით მომხმარებელი თანხმდება, რომ ის გაეცნო აღნიშნული ხელშეკრულებით მოცემულ წესებს და თანახმაა სრულად დაიცვას მისი ყველა მოთხოვნა. ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში პირადად აგოს პასუხი ზიანზე, რაც ამით მიაღება დაზარალებულ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირს.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული სიტყვები:

საიტი: იგულისხმება საიტი www.studyonline.ge

საიტის ადმინისტრაცია: იურიდიული პირი, ვინც ფლობს და მართავს საიტს - „მპს ინტერნეტ სერვისები“.

მომხმარებელი: ეს არის საიტის ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც რეგისტრირდება საიტზე;

ავტორი: ეს არის მომხმარებელი, რომელსაც შეძენილი აქვს საიტის ერთ-ერთი სერვისი „ვიდეო კურსების მარკეტი“ და/ან “Live კურსები“, რაც აძლევს ტექნიკურ შესაძლებლობას შექმნას, გამოაქვეყნოს და საიტიდან გაყიდოს საგანმანათლებლო პროდუქტები.

კურსი: ეს არის „საგანმანათლებლო პროდუქტი“, რომელსაც საიტზე ქმნის ავტორი თავის „მართვის პანელში“. კურსი შედგება შემდეგი ნაწილებსაგან: აღწერილობა, ფასი, ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია. საიტზე შესაძლებელია შეიქმნას ორი ტიპის კურსი: „ვიდეო კური“ და/ან “Live კური“.

კონტენტი: ეს არის ტექსტი, გრაფიკული გამოსახულება, ფოტო, ვიდეო, აუდიო მასალა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად ან უბრალოდ განთავსებულია საიტზე.

მართვის პანელი: მომხმარებელს რეგისტრაციის გავლის შემდეგ ეძლევა შესაძლებლობა გაიაროს ავტორიზაცია საიტზე და შევიდეს თავის პირად გვერდზე, რომელსაც ჰქვია „მართვის პანელი“. მართვის პანელიდან შესაძლებელია პირადი მონაცემების კორექტირება, შეძენილი კურსის ნახვა, გადახდების ნახვა, გამოწერილი ინვოისების ნახვა და სხვა. თუ მომხმარებელს შეძენილი აქვს საიტზე რომელიმე სერვისი, მაშინ ასეთი მომხმარებელი ხდება პოტენციური ავტორი დაც მას დამატებით ეძლევა შესაძლებლობა შექმნას და გამოაქვეყნოს „სასწავლო კურსები“, ნახოს რეგისტრირებული მოსწავლეები, ნახოს მათზე გამოწერილი ინვოისები, აწარმოოს მათთან უკუკავშირი (სმს, ელ-ფოსტა) ა.

შ. ჩვეულებრივი მომხმარებლის (ე.წ. მოსწავლის) და ავტორის „მართვის პანელების“ ფუნქციური განსხვავდება ერთმანეთისგან.

2. ხეშეკრულების საგანი

- 2.1. საიტი წარმოადგენს ელექტრონულ რესურსს განთავსებულს ინტერნეტში მისამართზე: www.studyonline.ge, რომელიც საშუალებას იძლევა ნებისმიერი მომხმარებელი დარეგისტრირდეს და საიტზე შეიძინოს მისთვის სასურველი კურსი;
- 2.2. საიტზე შესაძლებელია ნებისმიერმა მომხმარებელმა, რომელიც არის რეგისტრირებული საიტზე აქვს საიტის ერთ-ერთი სერვისი „ვიდეო კურსების მარკეტი“ და/ან “Live კურსები“, შექმნას და გასაყიდად გამოაქვეყნოს კურსი, ამით მიიღოს გარკვეული შემოსავალი.
- 2.3. საიტის ადმინისტრაცია საიტზე ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფის გარდა შეძლებისდაგვარად ცდილობს დაიცვას თავისი მომხმარებლების უფლებები, როგორც კურსის მყიდველის, რომ მან შეიძინოს ხარისხიანი კურსი და მომსახურება, ასევე ავტორის უფლებები, რომ მისი კურსის საავტორო უფლებები იყოს დაცული;
- 2.4. 2.3. პუნქტში ჩამოთვლილი საქმიანობის დროს თუ მაინც მოხდა რომელიმე მომხმარებლის უფლებების დარღვევა, საიტის ადმინისტრაცია ამაზე პასუხისმგებლობას არ იღებს.

3. შეტყობინება საავტორო უფლების დარღვევის შესახებ

- 3.1. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ მივიღოთ ინფორმაცია კურსების საავტორო უფლების შესახებ, რომ ჩვენს საიტზე არ განთავსდეს მასალა კანონმდებლობის დარღვევით, შესაძლებელია მაინც შეიქმნას სიტუაცია, როდესაც ასეთი ინფორმაციის მოპოვება ვერ ხერხდება, ან მესაკუთრის საავტორო უფლებებზე ინფორმაცია მიუწვდომელია, ან სხვა მიზეზის გამო მაინც მოხვდეს საიტზე მასალების განთავსება დარღვევით. ასეთ შემთხვევაში საიტის ადმინისტრაცია არ იღებს პასუხისმგებლობას თავის თავზე და პასუხისმგებლობას აკისრებს მომხმარებელს, რომელმაც დაარღვია კანონმდებლობა.
- 3.2. თუ თქვენ თვლით, რომ თქვენი შემოქმედებითი ნამუშევარი, დაცული საავტორო უფლებებით, მოხვდა ჩვენს საიტზე თქვენი ნების გარეშე, დაუყოვნებლივ მოგვაწოდეთ ინფორმაცია ამის შესახებ, თქვენი საავტორო უფლებების შესახებ და დეტალური ანალიზი თუ რას ეფუძნება თქვენი ბრალდება, რომ ჩვენ შევძლოთ დროულად აღვკვეთოთ ჩვენს საიტზე ასეთი მასალის გამოქვეყნება.

4. მოთხოვნა ინფორმაციულ უსაფრთხოებზე

- 4.1. არ ეცადოთ მიიღოთ წვდომა სხვის პერსონალურ ან სხვა ინფორმაციაზე, რომელიც დაცულია პაროლით შესაბამისი თანხმობის გარეშე;

- 4.2. არ იქნეს დაგზავნილი ელ-ფოსტა და/ან სმს საიტის მეშვეობით, რომელიც არ არის დაკავშირებული საიტზე წარმოებულ საქმიანობასთან. არ იქნეს გაგზავნილი ე.წ. „სპამი“;
- 4.3. არ მოახდინოთ საიტიდან კომპიუტერული ვირუსების გავრცელება;
- 4.4. არ მოახდინოთ საიტზე ერთდროულად ბევრი მოთხოვნების გაგზავნა საიტის და/ან სერვერის მწყობრიდან გამოყვანის მიზნით;
- 4.5. არ გააყალბოთ ნებისმიერი სათაურები TCP/IP პაკეტების, რომლებიც იგზავნება საიტიდან და საიტის მიმართულებით;
- 4.6. არ განახორციელოთ რაიმე დაგეგმილი ქმედებები, რომლებიც გამოიწვევენ საიტზე ინფორმაციის დაკარგვას;
- 4.7. არ გაქვთ უფლება გამოიყენოთ სხვისი ელ-ფოსტა და მიუთითოთ მონაცემები, რომლებიც ეკუთვნის სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს.

5. მომხმარებელი თანახმაა და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

- 5.1. მომხმარებელი ვალდებულია რეგისტრაციისას მიუთითოს თავისი ნამდვილი პირადი მონაცემები, ხოლო კომპანიის შემთხვევაში დამატებით კომპანიის სრული ნამდვილი მონაცემები;
- 5.2. მომხმარებელი ვალდებულია კურსის შეძენამდე წინასწარ გაეცნოს კურსის აღწერილობას, კურსის მახასიათებლებს (ხანგრძლივობა, ფასი) და პირველ უფასო თემის გაკვეთილებს, რომ მაქსიმალურად ზუსტად გაეცნოს კურსს. მომხმარებელს ასევე აქვს წვდომა ავტორის ტელეფონზე და ელ-ფოსტასთან, რომ სურვილის შემთხვევაში დააზუსტოს დამატებითი ინფორმაცია წინასწარ კურსის შეძენამდე. კურსის ღირებულების გადახდის შემდეგ მომხმარებელსა და ავტორს შორის კურსთან დაკავშირებით დავის წამოჭრის შემთხვევაში საიტის ადმინისტრაცია არაა პასუხისმგებელი კურსის შინაარსზე.
- 5.3. კურსის შეძენისას მომხმარებელი ვალდებულია ის გამოიყენოს უშუალოდ პირადი და არა კომერციული მიზნებისთვის, მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას ავტორის საავტორო უფლებები, კურსის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იყოს ჩამოტვირთული, კოპირებული, გადაწერილი, გამოქვეყნებული (მათ შორის მეორადად განთავსებული სხვა საიტებზე), გადაცემული, შენახული, გაყიდული, გავრცელებული ავტორის წერილობითი თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელი პირადად აგებს პასუხს ავტორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე საქართველოს კანონმდებლობით და/ან საერთაშორისო კანონმდებლობით;
- 5.4. მომხმარებელი თანახმაა მისი პერსონალური და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა) ნახოს ავტორმა, რომლის კურსსაც შეიძენს მომხმარებელი და მომხმარებელი თანახმაა აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენოს ავტორმა და საიტის ადმინისტრატორმაც მისთვის შეტყობინებების მიწოდებისთვის;
- 5.5. მომხმარებელს კურსის შეძენისთანავე ექნება წვდომა ავტორის პერსონალურ და საკონტაქტო ინფორმაციასთან (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა).

მომხმარებელი ვალდებულია ეს ინფორმაცია არ გადასცეს სხვებს და გამოიყენოს მხოლოდ შეძენილი კურსის საჭიროების ფარგლებში ავტორთან დასაკავშირებთან.

5.6. თუ მომხმარებელი დარწმუნდება, რომ ავტორი არღვევს მესამე პირის უფლებებს ვალდებულია მაშინათვე აცნობოს ამის შესახებ საიტის ადმინისტრაციას.

6. საიტზე კურსის გამოქვეყნების დროს ავტორი თანხმდება შემდეგ წესებზე:

- 6.1. ავტორი ვალდებულია გაეცნოს საიტის გამოყენების წესები, სრულყოფილად გაეცნოს კურსის ტექნიკური მართვის წესებს და იმოქმედოს ამ წესების შესაბამისად.
- 6.2. საიტის ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს არ გამოქვეყნოს „სასწავლო კურსი“ საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამო, კერძოდ: კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ; საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფორმაციის და ინფორმაციის დაცვის შესახებ; კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ; ბავშვების დაცვას ინფორმაციისგან, რომელიც ავნებს მათ ჯამრთელობას და განვითარებას და სხვა; ასევე მესამე პირების უფლებების დარღვევის შემთხვევაში და ასევე საიტის ინფორმაციული დაცვის შემთხვევაში და სხვა;
- 6.3. ავტორი ადასტურებს, რომ ფლობს შესაბამის უფლებებს ინტელექტუალურ ობიექტებზე (სასაქონლო ნიშანი, ტექსტები, სურათები, ვიდეო და აუდიო მასალები), რომელიც გამოყენებულის მის მიერ შექმნილ „კურსში“, რომელსაც აქვეყნებს საიტზე.
- 6.4. ავტორი ვალდებულია რეგისტრაციისას მიუთითოს თავისი პირადი და კომპანიის შემთხვევაში დამატებით კომპანიის სრული ნამდვილი მონაცემები;
- 6.5. ავტორი ადასტურებს, რომ კურსის სახით გამოქვეყნებული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს და არის აქტუალური საიტზე გამოქვეყნების პერიოდში;
- 6.6. კურსის კონტენტში თავისი საკუთარი აზრების გამოქვეყნებისას და თავის შემფასებლურ მსჯელობაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს ავტორი;
- 6.7. ავტორი თანახმაა საიტის სტუმარმა და მომხმარებელმა, რომელიც შეიძენს კურსს, ნახოს ავტორის პერსონალური და საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა). ავტორი თანახმაა ეს მონაცემები გამოქვეყნდეს საიტზე, ასევე საიტის ადმინისტრაციამ გამოიყენოს ეს მონაცემები სხვადასხვა შეტყობინებების მიწოდებისთვის;
- 6.8. ავტორს მისი კურსის შეძენისთანავე ექნება წვდომა მომხმარებლის პერსონალურ და საკონტაქტო ინფორმაციასთან (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა). ავტორი ვალდებულია ეს ინფორმაცია არ გადასცეს სხვებს და გამოიყენოს მხოლოდ პირადი საინფორმაციო კონტაქტისთვის მომხმარებელთან კურსის შესწავლასთან დაკავშირებით.
- 6.9. ავტორი თანახმაა, რომ საიტზე მისი კურსის აღწერილობას და პირველ გაკვეთილს უფასოდ გაეცნობა საიტის ნებისმიერი მომხმარებელი, მაგრამ სრულ კურსს ნახავს მხოლოდ კურსის შეძენის ან მისი თანხმობის შემთხვევაში;

- 6.10. ავტორი ვალდებულია მომხმარებლის მხრიდან „ვიდეო კურსის“ შექმნისას მასთან გადახდის დაფიქსირებიდან 24 საათის განმავლობაში ჩაურთოს მომხმარებელს კურსის ნახვის შესაძლებლობა თავისი „მართვის პანელიდან“, ხოლო მომხმარებლის მხრიდან “live კურსის“ შექმნის შემთხვევაში აღწერილობაში მითითებული პირობების შესაბამისად მოემსახუროს მას;
- 6.11. ავტორსა და მომხმარებელს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში საიტის ადმინისტრაცია არ არის ვალდებული ჩაერთოს ამ დავაში. უთანხმოება უნდა მოგვარდეს მათ შორის ურთიერთმორიგებით. ნებისმიერ შემთხვევაში ორივეს უფლება აქვს მიმართონ საქართველოს სასამართლოს.
- 6.12. თუ საიტის ადმინისტრაცია ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევის გამო შეაჩერებს კურსს, თუნდაც ეს დარღვევა შემდგომში იქნეს აღმოჩენილი, რის გამოც შეუჩერდებათ სასწავლო პროცესი ამ კურსის მომხმარებლებს, ავტორი ვალდებულია კურსის გადახდილი ღირებულება უკან დაუბრუნოს მომხმარებლებს.
- 6.13. ავტორი ვალდებულია საიტის ადმინისტრაციას გადაუხადოს მომსახურების თანხა საიტზე შესაბამისი სერვისის შექმნისათვის. აღნიშნული მომსახურებები შეიძლება იყოს რამდენიმე ტიპის და ისინი გამოქვეყნებულია საიტზე.

7. საიტის ადმინისტრაცია ვალდებულია:

- 7.1. მოახდინოს რეაგირება საიტზე მომხმარებლების მხრიდან ამ ხელშეკრულების წესების დარღვევაზე;
- 7.2. მოახდინოს რეაგირება მომხმარებლის მხრიდან საფუძვლიან საჩივარზე თუ ირღვევა მისი უფლებები;
- 7.3. შეძლებისდაგვარად მოკლე დროში გამოასწოროს საიტზე წარმოშობილი ტექნიკური პრობლემები ასეთი გამოვლენის შემთხვევაში;
- 7.4. გაუწუიოს მომხმარებელს დახმარება/კონსულტაცია საიტის ფუნქციონირების თუ სხვა ტექნიკურ საკითხებში.

8. საიტის ადმინისტრაციას უფლება აქვს:

- 8.1. ყველა მხარის უფლებების დაცვის მიზნით ნებისმიერ დროს შეცვალოს ამ ხელშეკრულების პირობები თავის შეხედულებებისამებრ.
- 8.2. შეუჩეროს და /ან დაუბრუნოს მართვის პანელი თუ მომხმარებელი არღვევს ამ ხელშეკრულების და საიტზე გამოქვეყნებულ წესებს და/ან აყენებს საიტს ზიანს, ასევე არღვევს სხვის უფლებებს ისეთი ფორმით, რაც ამ ხელშეკრულებაში არაა დაფიქსირებული.
- 8.3. შეაჩეროს და /ან წაშალოს კურსი თუ ირღვევა ამ ხელშეკრულების წესები, ან კურსი არ შეესაბამება საიტზე არსებულ არც ერთ თემატიკას და/ან არღვევს სხვის უფლებებს ისეთი ფორმით, რაც ამ ხელშეკრულებაში არაა დაფიქსირებული.

- 8.4. შეაჩეროს და /ან წაშალოს კურსი თუ საიტის ადმინისტრაცია ჩათვლის, რომ კურსი არ არის მზად გამოსაქვეყნებლად, კერძოდ ტექნიკურად, გრამატიკულად, სტილისტურად;
- 8.5. ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების ფასები, რასაც 30 (ოცდაათი) დღით ადრე ატყობინებს ავტორებს საიტზე გამოქვეყნებით, ელ-ფოსტით და/ან მობილურზე სმს-ით.
- 8.6. ავტორსა და მომხმარებელს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში საიტის ადმინისტრაცია არ არის ვალდებული ჩაერიოს ამ დავაში, თუმცა შეძლებისდაგვარად შეეცდება გაერკვიოს სიტუაციაში და შეასრულოს მომრიგებლური როლი მხარეებს შორის თითოეულის დარღვეული უფლებების დაფიქსირებით. უთანხმოების გაგრძელების შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ დავა გააგრძელონ სასამართლოში.

9. აღნიშნული ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

- 9.1. საიტის ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები აღნიშნულ ხელშეკრულებაში;
- 9.2. აგრძელებს რა საიტის და მისი მომსახურებების გამოყენებას მომხმარებელი ავტომატურად ეთანხმება ხელშეკრულებაში გაკეთებულ ყველა ცვლილებას;